პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 13 იანვარი 1990 წელი ● № 3 (2880) ● СУББОТА, 13 ЯНВАРЯ 1990 г.

პოზიცია

## შევამზადოთ სრულყოფილი კანონმდებლობის საფუძვლები

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. ბაკატინის გამოსვლაში ითქვა, რომ საჭიროა კანონები, მილიციის, შინაგანი ჯარების, ადვოკატურის უფლებამოვალეობების, საგანგებო რეჟიმის შესახებ, სამართალდამცავი სისტემის მუშაკთა სამართლებრივი დაცულობის გაძლიერების შესახებ.

არსებობს კანონი მილიციის თანამშრომელთა დაცულობის შესახებ, მაგრამ ფაქტი ფაქტია, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულთა და დაზიანებულთა რიცხვი მატულობს და როგორც ვ. ბაკატინმა აღნიშნა 1989 წლის 9 თვის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს 146 თანამშრომელი დაიღუპა და 905 დაიჭრა.

ვიყოთ გულახდილი და ვაღიაროთ; რომ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლი მკვდარია და უმოქმედო. ამავე დროს ყველა მუხლში ხაზგასმითაა აღნიშნული პასუხისმგებლობის დადგომა მხოლოდ იმ პირობებში, როცა მილიციის თანამშრომელს შეურაცხყოფენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

ისმის კითხვა, როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში როცა მილიციის თანამშრომელი უშუალოდ სამსახურს არ ასრულებს, მაგრამ იძულებულია მიიღოს ზომები უწესრიგობის აღმოფხვრისათვის და შეურაცხყვეს იგი?

თუ სახელმწიფომ განიზრახა გააძლიეროს მილიციის თანამშრომლის სამართლებრივი დაცვა, აუცილებელია დაწესდეს რომ მილიციის ფორმაში ჩაცმული თანამშრომლის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის, მისი ქმედების გამო, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი წესრიგის (ფართო გაგებით) დაცვისაკენ, მოქალაქენი დაჯარიმდნენ 500 მანეთამდე. ის პირები, რომლებიც შეეცდებიან ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას უნდა დაჯარიმდნენ 1000 მანეთამდე, ხოლო თუ ვინმე გაბედავს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას, მიუხედავად იმისა მოჰყვა თუ არა მას ჯანმრთელობის მოშლა ნებისმიერ ხარისხში, უნდა მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

გადაჭარბებულად არავის მოეჩვენოს მოქალაქის 1000 მანეთით დაჯარიმება სამხრეულის თუ ლილის აგლეჯისათვის, ან ასეთი მუქარისათვის. მე მხედველობაში მაქვს არა მატერიალური ზარალის ფასი, არამედ ის, რომ მილიციის თანამშრომელი ხელისუფლების წარმომადგენელია, მისი სარკეა და არავის აქვს უფლება მისი დამცირებისა და აბუჩად აგდებისა.

ასეთივე პასუხისმგებლობა უნდა დაწესდეს მათ მიმართაც, ვისაც მილიციის თანამშრომელი, რომელიც უფორმოდ არის წარუდგენს პირადობის მოწმობას და სახელმწიფოს სახელით მოითხოვს მისგან ანტისაზოგადოებრივი ქმედების შეწყვეტას, ხოლო დამრღვევი აბუჩად აიგდებს და შეურაცხყოფს მას. ბოლოს და ბოლოს თუ კი ქუჩაში ნაგვის დაყრისათვის შეიძლება 300 მანეთამდე დაჯარიმება, რატომ არ შეიძლება დაჯარიმება ხელისუფლების წარმომადგენლის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის?

რაც შეეხება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მილიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფისათვის (მუხლი 209[1]). საჭიროა რომ პასუხისმგებლობა განისაზღვროს არა მარტო სიცოცხლის, არამედ ჯანმრთელობის ხელყოფისთვისაც და მილიციის მუშაკის სხეულის სხვადასხვა დაზიანებისათვის.

თუ მილიციის თანამშრომლის სამართლებრივი დაცვის იდეას ხორცშესხმა უწერია, აუცილებელი იქნება იარაღის გამოყენების წესებში ცვლილებების შეტანა თუმცა წესებში ნათქვამია, რომ მილიციის თანამშრომელს უკიდურესი ზომის სახით ეძლევა იარაღის გამოყენების უფლება მასზე თავდასხმის მოსაგერიებლად, როცა მისი სიცოცხლე უშუალოდ საფრთხეშია. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ სიცოცხლის უშუალო საფრთხეში ჩაგდება შეიძლება ნებისმიერი საგნით, მაგრამ თუ ყურადღებით გადავხედავთ უკიდურესი აუცილებლობის და აუცილებელი მოგერიების მუხლებს და მათ კომენტარებს, წავაწყდებით გარემოებას სადაც ნათქვამია, რომ თავდაცვის საშუალებები არ უნდა აღემატებოდეს თავდასხმის საშუალებებს. ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა მილიციის თანამშრომლის სიცოცხლის ხელყოფა ცულით, ფიწლით, რკინის ნაჭრით? რა თქმა უნდა შეიძლება, მაგრამ მილიციელის ტაბელურ შეიარაღებაში ხომ ფიწალი და ცული არ შედის, ხოლო პისტოლეტის საბრძოლო საშუალებები ყოველთვის აღემატება ზემოთხსენებული ნივთებისას. ე. ი. ფორმალურად იარაღის გამოყენება შეიძლება, პრაქტიკულად არა(!) მაშ ვის სჭირდება ასეთი მოჩვენებითი უფლებებით აღჭურვა?

ანდა ავიღოთ მხარეთა ფიზიკური შესაძლებლობები. მართალია მილიციაში ჯანმრთელ და ფიზიკურად ძლიერ თანამშრომლებს ვღებულობთ, მაგრამ მათ შორის ხომ შეიძლება იყოს თავდამსხმელზე უფრო სუსტი ან ხანშიშესული, როგორ მოვიქცეთ, მოვაკვლევინოთ თავი ჩვენზე ძლიერებს და გავატანოთ ჩვენი იარაღი?

გადასამუშავებელია შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის დებულებაც; ბოლოს და ბოლოს უნდა ვთქვათ, რომ მილიციაში სამუშაოდ საკუთარი სურვილითა და განცხადებით მოდიან და არა სავალდებულო მობილიზაციით. მაშ რატომ უნდა ეკრძალებოდეს მას განცხადებითვე უკან გასვლა? ხსენებული დებულების თანახმად რიგითი შემადგენლობა, რომელიც ხელწერილის ვადას დაარღვევს, ორგანოდან დაითხოვებიან დისციპლინის დარღვევის სტატიით. მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება კარგი თანამშრომელი იყოს, ხოლო ოფიცერთა შემადგენლობას ხომ ასეც ვერ ათავისუფლებენ, მის წასვლას მოარგებენ ხოლმე ან „სამსახურებრივი შეუსაბამობის“, ან კიდევ სხვა უარყოფით სტატიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინება ხელს შეუწყობს მილიციის თანამშრომელთა სამართლებრივი დაცულობის იდეის პრაქტიკულად განხორციელებას და გთხოვთ ჩემს კოლეგებს გამოთქვან მოსაზრებანი სხვა საჭირბოროტო საკითხებზეც, რითაც წვლილს შეიტანენ სრულყოფილი კანონმდებლობის შემუშავებაში.

რ. ზრიბალაშვილი,

საბანკის დაწესებულებათა დაცვის ცალკე დანაყოფის მეთაური, მილიციის პოდპოლკოვნიკი.

## სხვადასხვა ინფორმაცია

**5 იანვარს** გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკაში, კერძოდ, თბილისში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან დაკავშირებით, სხდომაზე მოიწვიეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის, რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიის რაიკომების ხელმძღვანელი მუშაკები.

ბიუროს წევრებმა, პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების სხვა ხელმძღვანელმა მუშაკებმა დამსწრეთ გააცნეს, თუ როგორ სრულდება რესპუბლიკაში ვითარების ნორმალიზაციისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წინა სხდომაზე მიცემული დავალებანი.

რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობა იზიარებს თბილისის მუშათა კლასის, საზოგადოებრიობის, ახალგაზრდობის წუხილსა და შეშფოთებას სამხრეთ ოსეთში ამბების განვითარების გამო. სახელმწიფო ორგანოები, რესპუბლიკური მილიცია მოვალენი არიან მტკიცედ განახორციელონ ძალაუფლება, დაიცვან წესრიგი რეგიონში, შექმნან ქართველი და ოსი მოსახლეობის ნორმალური ცხოვრების პირობები.

ხალხის ამ სამართლიან მოთხოვნებს გაგებით უნდა შეხვდნენ რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, აღინიშნა სხდომაზე. დღეს მათი მთავარი ამოცანაა მისცენ ადამიანებს სრული და ობიექტური ინფორმაცია, რომლის დეფიციტი ზედმეტ დაძაბულობას ქმნის და გაუგებრობას, მითქმა-მოთქმას, ეროვნული ნიშნით შრომითი კოლექტივების კონფრონტაციას და გათიშვას იწვევს.

ეს შეუწყნარებელია, მითუმეტეს თბილისში, სადაც არასოდეს არ ყოფილა და, ღვინდა გვწამდეს, არასოდეს არ იქნება სერიოზული გართულებანი ეროვნებათაშორის ნიადაგზე. ეს რწმენა გამოთქვეს მუშათა კოლექტივებში გამართული მიტინგებისა და კრებების მონაწილეებმა, ქალაქის სამეცნიერო და შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, ახალგაზრდობამ და სტუდენტებმა. პარტიულმა კომიტეტებმა ადამიანთა ეს განწყობი-

(დასასრული მე-2 გვ-ზე.)

**Много неприятностей доставляют населению, особенно городским жителям, квартирные кражи. Даже самые надежные замки, самые хитроумные приспособления не позволяют порой надежно защититься от грабителей, пользующихся, чаще всего, отсутствием дома хозяев. Как могут граждане обезопасить свои жилища от непрошеных гостей? — с этим вопросом наш корреспондент обратился к зам. начальника Управления охраны МВД ГССР полковнику милиции Н. ГВАХАРИЯ.**

## КВАРТИРУ ОХРАНЯЕТ ЭЛЕКТРОННЫЙ СТОРОЖ

— **ОРГАНИЗАЦИЯ** профилактики квартирных краж является одним из важных направлений работы органов внутренних дел. Задача это непростая, тем более, что за последнее время этот вид краж имеет тенденцию к росту. Успешное решение проблемы видится нам на пути широкого использования состоящих на вооружении у подразделений нашего управления различных технических средств, в том числе основанных на принципах ультразвуковых и радиоволновых колебаний, ультрафиолетовых излучений и т. д., новейших средств сигнализации, посредством которых блокируются квартиры граждан.

Те, кто при помощи специализированной службы милиции установил сигнализацию в своей квартире, гараже или подсобном помещении, могут в любое время суток сдать их под охрану и спокойно отправиться на работу, в отпуск или командировку в полной уверенности в том, что в течение их, пусть даже длительного отсутствия, имущество будет надежно охраняться. Следует отметить, что в районах, где граждане изъявляют желание установить сигнализацию в квартирах (а таких сейчас в республике более 11 тысяч), краж бывает значительно меньше, чем в тех, где эта работа проводится недостаточно эффективно.

В подтверждение этого можно привести статистические данные. В прошлом го-

(Окончание на 2-й стр.).

## „ხსნა ყველგან არის, მხოლოდ გზა ხსნისა ასეთი მერგო მე უბედურსა...“

**იანვრის** სუსხიანი დღეა. სიცივე ძვალრბილში ატანს. ცივა ამ კედლებშიც, სადაც ათასობით მსჯავრდებული თუ მსჯავრდასადები ზის და უცდის, ელის სამართალს, თავისუფლებას. სიცივე შეჰპარვია ბევრი პატიმრის გულს, ზოგში იმდენად ძლიერად, რომ სულის გაყინვამდეც მისულა, ყინულის ლოდი ადევს ბევრი მათგანის შეგნებას, რწმენას, რა გაადნობს მას, თუარა საზოგადოების თანადგომა, ანუ როგორც დღეს ჩვენში ეძახიან ჰუმანურობა.

ბევრი, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული აქ ღმერთს მინდობია და მის ხატებას ლოცულობს, ბევრისთვის კი უკვე აღარაფერი არსებობს ამ ქვეყნად. ძნელია რწმენადაკარგულ ადამიანს რაიმე გრძნობაზე ელაპარაკო.

— ღმერთი გწამს შვილო, — ეკითხება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ერთ-ერთ მსჯავრდებულს. — არა მამაო, ღმერთი რომ არსებობდეს მე აქ რამინდა მაშინ.

ქრისტეშობის დღესასწაული ყველა ქრისტიანისთვის პატივმისაგები თარიღია, ვინც არ უნდა იყოს და რა სიტუაციაშიც არ უნდა იმყოფებოდეს. დღეს, როცა გარდაქმნამ და „პერესტროიკამ“ ბევრი სიკეთე მოგვიტანა უკვე მსჯავრდებულებსაც მიეცათ შესაძლებლობა კონტაქტი დაამყარონ ეკლესიის მსახურთან. საერთოდაც, საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით ყოველ პატიმარს აქვს უფლება მოითხოვოს ღვთის მსახური აღსარებისთვის, ზიარებისთვის, მონათვლისთვის და სხვადასხვა რიტუალების შესასრულებლად. დღეს შს სამინისტრომ ამ კუთხით უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯი. თითქმის დამკვიდრდა ყოველ რელიგიურ დღესასწაულზე მსჯავრდებულებთან წმინდა მამების შესვლა. შეხვედრა. ადამიანის დამძიმებულ

(დასასრული მე-2 გვ-ზე).





# ვის სჭირდება ამდენი მილიციელი

9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის დროს მილიციის მუშაკებმა მართლაც გმირობა გამოიჩინეს. და ასეთ დროს, არავინ იფიქროს მათზე ვინმე აუგს ამბობდეს. პირიქით, მათთვის სასიკეთო საქმეზე გვინდა ვისაუბროთ.

თითოეულ თქვენგანს, ალბათ, შეგიმჩნევიათ, როცა ფეხბურთია „დინამოს" სტადიონზე, ან კალათბურთი სპორტის სასახლეში, მაშინ რამდენიმე საათით ადრე ამ სპორტული ნაგებობების მისასვლელებთან მილიციელთა ურიცხვი რაოდენობა იყრის თავს.

თავისთავად ცხადია, მილიცია ყოველ შეჯიბრზე უნდა იცავდეს მტკიცე საზოგადოებრივ წესრიგს. ამას არავინ უარყოფს. მაგრამ განა საჭიროა ასეთი რაოდენობით, და თანაც შეჯიბრების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე? ნუთუ იმას არ ვითვალისწინებთ, რომ ტყუილუბრალოდ ვლლით ამდენ მილიციელს უსაქმო დგომით... ამაზე არავინ დაფიქრებულა? დალლას თავი რომ დავანებოთ, ვინ იცის როგორ არიან საჭირო ისინი თავიანთ სამსახურში?

იქნებ, ზოგიერთ მილიციელს წინა ღამით მძიმე მორიგეობა ჰქონდა. ხომ სჭირდება დასვენება, ისიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანია, შეიძლება საკუთარ ოჯახში გავუშვათ ცოლ-შვილის მოსასიყვარულებლად?

ერთი წამითაც არ მინდა დავიჯერო ის, რომ მილიციის თანამშრომელთა შემცირებული რაოდენობით (თუნდაც განახევრებული) წესრიგი არ დამყარდება. ვერავინ დამაჯერებს ამაში, თუ კი ვინმე შეეცდება საპირისპირო მტკიცებას ეს მხოლოდ მტკნარი სიცრუე იქნება და სხვა არაფერი.

სამწუხაროდ, ზოგიერთი მილიციელი უტაქტოც კი არის. ჰგონიათ, სპორტის სასახლეში გულშემატკივარი არ უნდა ხმაურობდეს, იყოს მუმიასავით, შეძახილებით არ უნდა გულშემატკივრობდეს მისთვის სასურველ გუნდს.

ერთი ასეთი შემთხვევა მახსენდება. 25 წელზე მეტია კალათბურთის გულშემატკივარი ვარ. არ ვაცდენ თითქმის არცერთ მატჩს.

რამდენიმე ხნის წინ თბილისში ტური ტარდებოდა. გამორჩეულად, ვგულშემატკივრობდი ერთ-ერთ გუნდს. წესრიგის დამცველებმა სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, მილიციის თანამშრომლის მერაბ ლუდუშაურის დავალებით ჩემთან მოვიდა ლენინის რაიგანყოფილების მილიციელი და მთელი ტაიმი თამაშის თვალყურის დევნების საშუალება არ მომცა აი, თურმე სანამდე მიდის მილიციის ზოგიერთი მუშაკის თავგასულობა. რაიმე განსაკუთრებული მიზეზი ვერ მომიძებნეს, ბოდიშიც კი არავის მოუხდია.

არადა, როგორც შემდეგ გავიგე, არც მერაბ ლუდუშაურისათვის, და არც ლენინის რაიონის შს რაიგანყოფილების (უფროსი შოთა ძნელაძე) მილიციის თანამშრომლისთვის ამაზე არავის უსაყვედურია. პირიქითაც კი მოხდა. შემდგომში ის მილიციელი შემხვდა, ამაყად ეჭირა თავი, არავის დავუსჯივარო. არადა, ჩემის აზრით, ასეთი უტაქტო მილიციელები, მიუხედავად მილიციისადმი უსაზღვრო პატივისცემისა, ნამდვილად უნდა დაისაჯონ.

ვფიქრობ, ზოგიერთი ასეთი უღირსი მილიციელი ნამდვილად არ გვჭირდება წესრიგის დამცველად სპორტული შეჯიბრებების დროს. რატომ არ შეიძლება მათი ადგილი მივანდოთ სახალხო რაზმელებს, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს? ჩვენი აზრით, ადვილი შესაძლებელია, ამითაც შემცირდება მილიციელთა რაოდენობა.

ერთი სიტყვით, დასმული საკითხი სავსებით დროულია, აქტუალური, ორიგინალობას ამ საკითხში ვერ დავიჩემებ. გაზეთ „თბილისის" ფურცლებზე მილიციის მაიორმა, რუბენ ფერაძემ ადრე დააყენა ეს საკითხი, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, გარდა იმისა, რომ სტატიისათვის ავტორი მკაცრად გააკრიტიკეს.

იქნებ ახლა მაინც ვიფიქროთ, ვის სჭირდება ამდენი მილიციელი? თქვენ რას იტყვით, პატივცემულო მკითხველებო!

**თ. მორგოშია,**

**რედაქციისაგან:** ვფიქრობთ ჟურნალისტის მიერ დასმული კითხვები უპასუხოდ არ დარჩება. რედაქცია ელის გამოხმაურებას ქალაქის შს სამმართველოდან, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოდან და ლენინის შს რაიგანყოფილებიდან.

**(ОКОНЧАНИЕ)**

ду в жилом секторе республики ссвершено более 1.360 квартирных краж, но ни одной из охраняемых. В течение года сотрудниками управления в Батуми и Кутаиси предотвращены попытки краж с задержанием преступников.

**— Можно поподробнее рассказать об одном из таких эпизодов, когда электронные сторожа помогли предотвратить квартирную кражу?**

— Пожалуйста. Вот. например, как была предотвращена квартирная кража в городе Кутаиси. Между владельцем квартиры гр. М. и городским отделом охраны был заключен соответствующий договор на охрану квартиры. В один из дней, когда М., сдав свою квартиру под охрану, выехал из города, в нее попытались проникнуть злоумышленники. В этот момент сработала сигнализация, и на пункт централизованной охраны г. Кутаиси поступил сигнал «Тревога». В результате квалифицированных действий выехавшей на место происшествия сразу после получения сигнала оперативной группы отдела были задержаны двое преступников.

Существенно важным является то, что преступники были задержаны сотрудниками милиции прямо на месте преступления. Поэтому отпала необходимость в проведении мероприятий по установлению их личностей и последующей поимке. Кроме того, они сознались и в ранее совершенных ими квартирных кражах.

**— Какие технические средства защиты квартир сейчас наиболее эффективны?**

— В последнее время в нашей республике получила распространение установка в подъездах жилых зданий домофонов. Это дает хорошие результаты, ограничивая доступ посторонних лиц в подъезды жилых домов. В Тбилиси, где широко применяются домофоны, краж теперь меньше, к тому же заметно улучшилось санитарное состояние подъездов, экономится тепло и электроэнергия. Однако, как показала практика, этот способ не является достаточно надежным в деле предупреждения квартирных краж, так как в случае проникновения посторонних лиц в одну из квартир об этом факте станет известно лишь через некоторое время, по возвращении членов семьи.

Более эффективны два использующихся в настоящее время способа охраны личного имущества граждан с помощью технических средств. Сущность первого, который называется «солидарная охрана» (или автоматная), заключается в том, что квартиры оборудуются таким образом, что «сосед охраняет соседа», т. е. если срабатывает сигнализация, то кто-либо из постоянно находящихся дома соседей обязательно сообщит при необходимости в милицию.

Второй способ — это оборудование квартир охранно-пожарной сигнализацией с использованием телефонных линий и заключением соответствующего договора на охрану личного имущества с территориальными органами внутренних дел. Этот способ является наиболее эффективным в деле предупреждения квартирных краж.

В ряде районов республики внедрены и успешно эксплуатируются новейшие автоматизированные системы, предназначенные для централизованной охраны квартир граждан, не имеющих телефонов.

**— Что должны сделать граждане, которые решат воспользоваться услугами специализированной службы охраны?**

— С заявками на установку сигнализации и по другим интересующим вопросам, связанным с охраной личного имущества, они могут обратиться к районному участковому инспектору или в отдел охраны при райоргане внутренних дел.

Стоимость оборудования квартиры с подключением на пульт централизованного наблюдения оплачивается квартиросъемщиком в соответствии с действующим Прейскурантом цен на услуги по охране квартир и ориентировочно составляет 12—24 рубля в месяц. Участникам и инвалидам гражданской и Великой Отечественной войн предоставляется 50-процентная скидка с ежемесячной оплаты за услуги по охране.

В случае кражи имущества из охраняемой по договору квартиры по вине охраны, квартиросъемщику возмещается фактический ущерб. Управление охраны надеется, что многие граждане изъявят желание на оборудование квартир сигнализацией. Только совместными усилиями можно поставить на пути любителей легкой наживы надежный заслон.

Беседу вел **А. ЦАТУРОВ.**

**(დასასრული)**

სულს სულიერი განწმენდა თუ უშველის მხოლოდ. კაცობრიობაც თავის დროზე რწმენამ იხსნა დალუპვისაგან.

7 იანვარს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II ეწვია 1. საგამოძიებო იზოლატორს, ციხეში შეხვდა პატიმრებს და საღმთო წიგნები გადასცა მათ საჩუქრად, ბიბლიის ახალი გამოცემაც სამახსოვროდ შემორჩება ამ კედლებს.

...მძიმედ იღება რკინის კარები. ერთი, მეორე და არასრულწლოვანთა შეშინებული თვალები ხვდება ჩვენს მზერას. მისი უწმინდესობა ულოცავს მათ საშობაო დღესასწაულს. — მთავარია რწმენა არ დაკარგოთ შვილებო, თქვენ ერი გელოდებათ, საქართველო გელოდებათ და მას სულიერად განწმენდილი სჭირდებით მხოლოდ. დგანან ბიჭები თავდახრილები, თითო ორი კურცხალიც ეცემა ცივ იატაკს და ვგრძნობ, რომ ზაზა, ლევანი, ბადრი, თამაზი ნანობენ ჩადენილ დანაშაულს, მათ შეგნებამდე დასულა მომხდარის უარყოფითი მხარე და რაღაც იმედით შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს, რომელმაც თავისუფლება უნდა მოუტანოს მათ.

მის უწმინდესობას სახეზე გაკვირვება ეტყობა. მხოლოდ არა მოულოდნელობითა და განსაკუთრებული შემთხვევით — არამედ ქალთა სიმრავლით. საკანში ერთად არიან სხვადასხვა ასაკის, ეროვნების, კატეგორიის დამნაშავეები. -ღმერთო, რამდენად სამართლიანია ნარკომანი, მკვლელი და ქურდი იჯდეს ერთად, ერთ ყოფაში. ნუთუ ამაზე არ დაფიქრებულა არავინ? ამ შემთხვევაში ალბათ მხოლოდ ის არ გამოდგებოდა გამამართლებელ არგუმენტად, რომ ჯერ კიდევ მოქმედებენ რევოლუციის დროინდელი კანონები. ვინ შეცვლის მას, საინტერესოა ვინ უნდა იზრუნოს მის გადახალისებაზე? მეჩვენება, რომ ხშირად პრობლემებს თავად ვქმნით ყოველ ნაბიჯზე.

— მე სიმართლისათვის დამაკავეს. 7 წელი მაქვს მოსჯილი, სად არის სამართალი, რისი ან ვისი უნდა მჯეროდეს მე. მართალია, თავს ვერ დავდებ ქალბატონო ნათელა თქვენს უდანაშაულობაში, მაგრამ თუ თქვენს სიტყვებში მცირეოდენი სიმართლის მარცვალი მაინც დევს, გწამდეთ, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ვინც დღეს ციხეებში ზის უდანაშაულოდაა დასჯილი, მაგრამ მეტნაკლებობის აუცილებელი კრიტერიუმი რომ დარღვეულია — აშკარად ჩანს. ცოდავენ დღეს მოსამართლეები, პროკურორები, ვცოდავთ საზოგადოების წარმომადგენლებიც და განსაკუთრებით ისინი, ვინც ხელს უწყობს დამნაშავეთა სულის დამახინჯებას, რწმენის დაკარგვას. მოდით, ყველამ საკუთარ გულში ჩავიხედოთ და დეე, საკუთარმა სინდისმა მოგვცეს პასუხი ჩვენს ნამოქმედარზე.

მისი უწმინდესობა ლოცავს თითოეულ მსჯავრდებულს. რწმენის აღზევებისკენ მოუწოდებს მათ. ბოროტებას, სიკეთე უნდა დაუპირისპირო ყოველთვის ქრისტიანობა სწორედ ამას ნიშნავს. ბევრი გაბედულად აყალიბებს საკუთარ აზრს, ბევრს უჭირს თქმა და მეგობრის ზურგს ამოფარებული შეჰყურებს ღვთის მსახურთ. დღევანდელი დღით ყველა კმაყოფილია. ყველა გრძნობს რომ სულის ამაღლება ისე სჭირდებათ, როგორც არასდროს. ადამიანს უნდა შეეძლოს ცოდვების მონანიება. ბევრი ახალი აზრი, ახალი წინადადებები, სურვილები წარმოშვა ამ შეხვედრამ.

— თქვენო უწმინდესობავ, ქალი შეიძლება იყოს პატიმარი?

— იცით, დამნაშავეც რომ იყოს, ქალი არ უნდა ისჯებოდეს. ჩვენ ვფიქრობთ, როგორ დაგეხმაროთ, რა ფორმით შეიძლება განხორციელდეს რომ ქალი და საერთოდ ისინი ვინც პირველად ჩადიან არადამამძიმებელ დანაშაულს არ მოხვდნენ ციხეში. იქნებ გამოინახოს დასჯის სხვა ფორმა. თუ ჩვენ სამართლებრივ სახელმწიფოს ვქმნით და ვსაუბრობთ კანონის ჰუმანიზაციაზე, ეს ჰუმანურობა უპირველესად აქ უნდა გავითვალისწინოთ.

...იმედიანი თვალებით აცილებენ პატიმრები უკვე ზღურბლთან მდგარ ღვთის მსახურს. მძიმედ იხურება რკინის კარები, ნელ-ნელა ვეშვებით კიბეებზე და თან მოგვაქვს ათასი ტკივილი, ნაღველი, ყველას აზრი დატრიალებს იმ უკანდარჩენილს, სადაც მხოლოდ ფიქრია, დარდია რა მოხდა, რატომ, როგორ? (ბევრიც შორს არის ამ ფიქრისაგან) სადაც სიცივეა, სადაც კედლები გაყინულა, სადაც ზიან დედები, შვილები, მამები და ელიან მონატრებულ თავისუფლებას.

...დუმს დარბაზი, ათობით მზერა მიპყრობია საქართველოს კათალიკოსს პატრიარქს. ზოგი უზომოდ სასოწარკვეთილი ჩანს, ზოგშიც იმედის ნაპერწკალიც კიაფობს, მისი უწმინდესობა კი ლოცავს ბედგაუკულმართებულთ. პირჯვარს იწერენ პატიმრები, მუხლმოდრეკილი ემთხვევიან უწმინდესის უწმინდეს კალთას.

დღეს მსოფლიოში არსებობენ სახელმწიფოები, სადაც არ არის ციხეები და ღმერთმა ინებოს ყოვლიწმინდა ხვთისმშობლის წილხვედრ საქართველოშიც აღარ იყოს, არანაირი ციხე-სამსჯავრო. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. ჩვენთან არს ღმერთი. — არს, არს, ერთხმად გუგუნებს მთელი დარბაზი. შეხვედრის ბოლო წუთებიც ფიქსირდება ფოტოფირზე და ჩვენი საშობაო შეხვედრაც დასასრულს უახლოვდება.

ყველანი დაფიქრებულები გამოვდივართ, საშინლად გვტკივა გული, სულს ლრღნის ნანახი სურათები, როგორ სწორად ბრძანეთ თქვენო უწმინდესობავ, — დასჯილები თქვენ არა ხართ მარტო, დასჯილია მთელი საქართველოო. რწმენით ვტოვებთ ცივ კედლებს, რწმენით რომ, ოდესლაც შემოაღწევს ამ კედლებშიც დიდი სითბო, თანადგომა, შეგნება და აღარ იქნება ციხეები, კოლონიები, საგამოძიებო იზოლატორი, რადგან აღარ გვეყოლებიან დამნაშავეები.

**მ. ლიზრაძე.**



# სხვადასხვა ინფორმაცია

**(დასასრული).**

ლება უნდა გამოიყენონ ვითარების შემდგომი სტაბილიზაციისათვის, აქტიურად გასწიონ ახსნა-განმარტებითი და ინდივიდუალური მუშაობა, ამ თვალსაზრისით სხდომის მონაწილეებმა საფუძვლიანად გააანალიზეს რესპუბლიკური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ზოგიერთი პუბლიკაცია, რომლებიც, კერძოდ, შეიცავდა არცთუ ცოტა სუბიექტურ მტკიცებას. ისინი გაზეთების, ჟურნალების, ტელევიზიის ხელმძღვანელთა იმ წამყვან ჟურნალისტთა მონაწილეობით, გულმოდგინე შესწავლისა და განხილვის საგანი გახდება, რომლებსაც აქვთ, მაგრამ სამწუხაროდ საკმარისად სრულად ვერ იყენებენ მოვლენათა სრულყოფილი და ობიექტური გაშუქების საკუთარ შესაძლებლობებს.

დაისახა ჟურნალისტთა კორპუსის ინფორმირების გაუმჯობესების, რესპუბლიკის სამართალდაცვითი პარტიული და სახელმწიფო ორგანოებიდან ოპერატიული ინფორმაციის მიღების დამატებითი ღონისძიებანი.

**7 იანვარს** თბილისში, მთავრობის სახლთან გაიმართა საშობაო მიტინგი, რომელიც მოეწყო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ინიციატივით. ორატორებმა, რომლებმაც მიტინგის მონაწილეებს მოულოცეს შობა, ილაპარაკეს რესპუბლიკის საზოგადოებასა და პოლიტიკური ცხოვრების ძირითად პრობლემებზე.

* * *

**გაიმართა** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა. მასზე საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა ინფორმაცია შიდა ქართლის რეგიონში შექმნილი მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის განხორციელებული ღონისძიებების მიმდინარეობისა და მათი გააქტიურების შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის დავალების შესაბამისად უკანასკნელ დღეებში საგრძნობლად გაიზარდა რეგიონში მყოფი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების რაოდენობა, მათი მოქმედება წარმოებს საგანგებოდ შექმნილი ოპერატიული სქემისა და წესების მიხედვით. ამ და სხვა ენერგიული ღონისძიებების შედეგად მოხდა ვითარების საგრძნობი სტაბილიზაცია, არსებითად შეიზღუდა თვითმოქმედი საპატრულო საგუშაგოების მოქმედება. თბილისიდან ცხინვალამდე ტრასაზე პრაქტიკულად შეუზღუდავი მოძრაობაა. ბიუროს სხდომაზე დაისახა დამატებითი ღონისძიებები ამ მხრივ გაწეული მუშაობის კიდევ უფრო გააქტიურებისა და ბოლომდე მიყვანისათვის, რათა მოსახლეობამ უახლოეს დღეებში სრული სიმშვიდის მტკიცე გარანტია იგრძნოს.



სწრაფად, ოპერატიულად

# იაპონური სანთებელა და... გახსნილი დანაშაული

...**ღამის** 2 საათზე აბაშის რაიონის სოფ. ზანათის მცხოვრების ნ. გუნიას ბინაში შეიჭრნენ ბოროტმოქმედები, რომლებმაც ხელ-ფეხი შეუკრეს 80 წლის ქალს და გაიტაცეს 8 ათასი მანეთის ტანსაცმელი, 4 ათასი მანეთი ფული.

აბაშის შს რაიგანყოფილების ოპერატიულმა ჯგუფმა „ცხელ კვალზე“ დააკავეს დამნაშავეთა ჯგუფის წევრები სენაკელები ვ. ქ. დ. გ. და ხ. გ. რომლებსაც უკვე მოესწროთ ოქროს რამდენიმე ნივთის გაყიდვა. ბოროტმოქმედნი დ. გ.-ს მამის ავტომანქანით იყვნენ ქუთაისში, მაგრამ ნაძარცვის გასაღება ვერ შესძლეს და დაბრუნდნენ სენაკში, ისინი მილიციის მუშაკებმა დააკავეს ავტოგასამართავ სადგურთან, როდესაც ცდილობდნენ მაგნიტაფონის დინამიკების გაყიდვას. ავტომანქანის შემოწმებისას აღმოაჩინეს ლულაგადაჭრილი ორი თოფი, სამი ავტომატი, ვაზნები და ორი ნიღაბი. ვ. ქ-ს ჩხრეკისას აღმოაჩნდა იაპონური სანთებელა, რომელიც გაძარცული ოჯახიდან წამოეღო. სწორედ ამ სანთებელამ (რომელიც ამოიცნო დაზარალებულმა) დააყენა სწორ გზაზე გამომძიება. ნაძარცვი ნივთები დაუბრუნდა პატრონს.

დამნაშავეთა დაკავებაში განსაკუთრებული საზრიანობა და ოპერატიულობა გამოიჩინეს განყოფილების უფროსის მოადგილემ, მილიციის მაიორმა რ. ჭოჭუამ, მილიციის მაიორმა ვ. ცანავამ, ავტოინსპექტორმა ნ. ხოშტარიამ.

**რ. კვარაცხელია,**
**აბაშის შს რაიგანყოფილების უფროსი გამომძიებელი, მილიციის მაიორი.**

* * *

**სურათზე:** დაკავებულის „ალხარება“, დამნაშავეებისაგან ამოღებული იარაღი.



# „მამა ნახე, დედა ნახე“...

**უცნაურია** ცხოვრების ჯაჭვი. უცნაურია იმდენად, რამდენადაც ჩათრევა იცის უსაზღვროდ, თანაც ისე ძლიერად გადაკიდებს ერთს, მეორეს, მესამეს და ასე თაობებს მისი დაშლა არც თუ იოლია ბუნებისათვის.

სწორედ ასეთი ოჯახური ჯაჭვი შეიკრა აჭარაძეების ოჯახში, დინასტიის ჯაჭვი, რომელიც თაობიდან თაობას ესტაფეტასავით გადაეცა.

ლ. აჭარაძეს შს სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოში იცნობდნენ როგორც სპეტაკ, პატიოსან და უანგარო პიროვნებას, ალბათ ამის გარეშე ვერც დამსახურებული ჩეკისტის წოდებას მოიპოვებდა, თუმცა მისი თაობა ის თაობაა, რომელიც განიცდიდა დევნას, შიშს, იყო ბრძოლა, წინააღმდეგობა, მაგრამ იყო დიდი ნებისყოფაც, მოთმინებაც და რწმენაც და არის სახელი, რომელიც დღეს ასე ეამაყებათ მის შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს. ამ რწმენით იარა ლ. აჭარაძის ოჯახმა, ასე რწმენით დაიზარდნენ შვილები და აუყვნენ მშობლების გაკვალულ გზას ახალი მწვერვალებისაკენ.

ზ. აჭარაძისათვის მამა ცხოვრების იდეალი იყო. — მომწონდა მისი უბრალოება და საქმისადმი დიდი სიყვარული. იცით, მამა ბუნებით ლამაზი კაცი იყო და მე მინდა მივბაძო მას ამ სიყვარულში — ამაყად და დამაჯერებლად მეუბნება ბატონი ზაური. არადა მართლაც აქვს საამაყო ამ ადამიანს მისი წარსულითა და აწმყოთი.

მამის გზით სიარული არც თუ ისე იოლი იყო. მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მისი პროფესიისადმი სიყვარული, რომ შვილი არც დაფიქრებულა, ისე დაადგა შინაგანი სამსახურის გზას, ჯერ ზ. აჭარაძემ ხარკოვის სამწლიანი სახანძრო-ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა (რომელიც სხვათაშორის ოცი წლის შემდეგ მისმა უფროსმა ვაჟიშვილმაც დაამთავრა). სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს შს სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოში. თითქმის ყველა საფეხური გაიარა, მან გამოცადა ყველა სახის შრომა, მამისეული პრაქტიკაც ბევრ რამეში დაეხმარა და ასე გამობრძმედილი მოვიდა ის ოპერატიულ სამსახურში. თვით შს სამინისტროს ხელმძღვანელობამ დასვა საკითხი მისი სამუშაო პროფილის შეცვლის შესახებ. დღეს ზ. აჭარაძე მილიციის პოდპოლკოვნიკი, ლენინის რაიონის შს განყოფილების უფროსის მოადგილეა სამსახურის დარგში. მას დამსახურებული აქვს არაერთი მადლობა და ჯილდო. შინაგან საქმეთა სისტემაში მუშაობის 32 წლის მანძილზე არ დაუმსახურებია არცერთი სასჯელი. ასე სახელოვნად მივიდა მწვერვალთან ზაურ აჭარაძე, ასე სახელოვნად მიყვებიან ოჯახურ დინასტიას მისი შვილები, ოჯახის ქალბატონებთან ერთად. ზაურის დედა ამჟამად პენსიონერია, ადრე ისიც მეუღლესთან ერთად მუშაობდა შს სამინისტროს საფინანსო განყოფილებაში. თითქოს პროფესიის სიყვარულთან ერთად ეს ტრადიციაც დაუტოვა მშობლებმა შვილებს. ზ. აჭარაძის მეუღლე ქალბატონი ლუდა სახანძრო დაცვის სამმართველოში მუშაობს. შს სისტემაში მსახურობს დ. აჭარაძე და მისი მეუღლეც, ასე რომ ოჯახურ დინასტიას აღსასრული არ უწერია, როცა ოჯახის მამაკაცებს ვკითხე პატარა აჭარაძეებზე — გაყვებიან თუ არა თქვენს გზას მეთქი — პაპას გაეღიმა და ამ ღიმილით გამოხატა დიდი სურვილი, თუმცა მამამ მითხრა, — ვნახოთ მომავალი რას გვიჩვენებსო.

ალბათ იშვიათია ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ ადამიანები, რომელთაც ერთი საფიქრალი, ერთი საზრუნავი და საერთო სატკივარი ჰქონდეთ. ალბათ ამიტომაც დაბუდებულა აჭარაძეების დიდ ოჯახში სითბო, ურთიერთგაგება და ურთიერთთანადგომა. ამიტომაც არ ღელავენ ოჯახის დიასახლისები, როცა ბატონ ზაურს, დავითს უგვიანდებათ სამუშაოდან შინ მოსვლა. ამიტომაც უგებენ სხვადასხვა თაობის ადამიანები ერთმანეთს. — ბებია ნამდვილი სტალინელია, — მიყვება დათო — ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ამ საკითხებზე, ზოგჯერ კამათშიც გადავდივართ, მაგრამ იცით, ჩვენი პოზიციაც მოსწონს. ბატონი ზაური წესრიგის მოყვარულია უმიზნოდ გატარებულ ყოველ საათს განიცდის, მაგრამ შვილები უგებენ მამას, თუმცა გ. აჭარაძე პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია, მაგრამ მის სამომავლო გეგმაში ზის შინაგან საქმეთა სისტემაში სამსახური.

და ასე ცხოვრობს აჭარაძეების დიდი ოჯახი. დადის მათ ჭერქვეშ დიდი სიყვარული, ხალისი და ადამიანის არსებობის ყველაზე მთავარ არგუმენტსაც — სისპეტაკეს აქ დაუდევს მუდმივი სამყოფელი.

ახალი წელი მოვიდა, ახალი საფიქრალი და ახალი საზრუნავი გვემატება. დაე, ეს წელიწადი ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის, გემრავლოთ ოჯახური დინასტიის გამგრძელებლები და ნურასოდეს ნუ მოგშლოდეთ ერთმანეთისადმი სიყვარული. მრავალჟამიერ თქვენს საქმეებს, თქვენს სიცოცხლეს მრავალჟამიერ!

**გ. მოსიძე.**



МИЛИЦЕЙСКИЕ БУДНИ

# ПОЛЧАСА НА РОЗЫСК

**НЕ РАЗ** на страницах нашей газеты поднимался вопрос о необходимости обеспечения безопасности водителей такси, особенно в ночное время. Однако, судя по тому, что в суточных сводках постоянно фигурируют факты грабежей и нападений на таксистов, эта проблема еще не нашла своего решения. Подтверждением тому может служить и происшедший буквально на днях случай.

Морозным декабрьским вечером в Тбилиси на ул. Ахметели в автомашину такси, управляемую водителем А. Чохели, подсели трое подвыпивших молодых людей. Когда такси выехало на Военно-Грузинскую дорогу, они словесными угрозами заставили водителя пересесть на заднее сидение. Затем между дружками возник спор о том, кому вести машину. Пользуясь случаем, водитель сумел выпрыгнуть из автомашины и бросился за помощью в сторону находившегося неподалеку магазина. Один из преступников попытался его преследовать, но, видя, что в магазине находится много людей, предпочел скрыться с места происшествия. Тем временем двое других уехали на машине в неизвестном направлении.

Было около 20 часов, когда пострадавший водитель сообщил о происшествии в 1-е отделение Первомайского РОВД столицы республики. Там сразу под руководством начальника отделения подполковника милиции Б. Иванова была создана оперативная группа, в состав которой вошли старший оперуполномоченный УР майор милиции М. Цнобиладзе, оперуполномоченный УР старшие лейтенанты милиции З. Ниорадзе, Д. Шарашидзе и Т. Тамазишвили. Разделившись на две группы, они направились для перекрытия и контроля трассы на Военно - Грузинскую дорогу и в район завода МИОН. Одновременно информация о случившемся была передана по рации постам госавтоинспекции.

— Преступники, раскатывая по городу без определенной цели, совершили в районе станции метро ТЭВЗ столкновение с автомашиной «Москвич», — рассказывает заместитель начальника отделения подполковник милиции Ю. Галустов. — Пока происходило разбирательство того, кто виновен в аварии, к месту столкновения подъехали сотрудники подразделения ДПС Ю. Болдовский и А. Акопян, и с помощью подоспевших чуть позже членов оперативной группы отделения задержали преступников. Ими оказались Давид К. и Мамука Ц., инженер стройкомбината. Таким образом вся операция с момента получения информации и до задержания преступников заняла всего около получаса.

На другой день принятыми мерами был задержан и третий участник преступления — несовершеннолетний Леван Д., числящийся учащимся ПТУ-111. По словам преступников, они угнали машину для того, чтобы «покататься».

Сейчас ведется расследование, по окончании которого суд определит меру ответственности их за это «баловство». Ну а мы, отметив четкие и слаженные действия сотрудников милиции, все-таки еще раз констатируем, что в целом проблема обеспечения безопасности водителей такси все еще не решена.

**А. ЛОМИДЗЕ.**

НА ЛИНИИ — ТЕЛАВИ

# Не дали распространится огню

**О проделанной работе сотрудниками ОГПН Телавского ГОВД мы попросили рассказать начальника отдела государственного пожарного надзора капитана внутренней службы Заала Гигнишвили.**

**К СОЖАЛЕНИЮ,** в прошлом году у нас в районе увеличилось количество пожаров и достигло 50 с материальным ущербом 29.695 рублей, а в 1988 году было 46 случаев возникновения пожаров с убытком 22.720 рублей. Причиной возникновения пожаров является засуха, которая наблюдалась летом нынешнего года по всей Кахетии.

Значителен рост пожаров и с наступлением зимнего отопительного сезона, ведь не секрет, что большинство жилых домов в районе отапливаются солярными печами, у всех жителей в домах и в подсобных помещениях хранится большое количество горючего, и любая неосторожность и нарушение правил пожарной безопасности приводит к пожару.

Вот так было недавно в личном доме гр-на М. Пейкришвили в селе Кондори, где была оставлена без присмотра печь, которая отапливалась соляркой. Возник пожар и лишь благодаря оперативным и своевременным действиям телефонистки Л. Бурднашвили, начальника караула В Чидрашвили, командира отделения Э. Сухиташвили и пожарных А. Чоторишвили и Г. Шарабудин-оглы мы вовремя потушили пожар и не дали ему распространиться на близлежащие жилые дома. Наши бойцы всегда готовы прийти на помощь. Ежедневно согласно план - графику начальник пожарной части М. Бахбахашвили проводит учебные и тактические занятия для повышения профессионального мастерства бойцов огненного фронта.

Хорошо проработал и инспекторский состав отдела. В течение года им были обследованы все крупные промышленные и сельхозобъекты, а также административные здания, школы, больницы, детсады и др. В результате контрольных проверок за нарушение правил пожарной безопасности были приостановлены следующие объекты: универмаг «Алазани», универмаг в селе Напареули, оштрафованы: заведующий промтоварным магазином села Артана, заведующий магазином промышленных товаров в селе Бушети, каждый на 40 рублей.

Всего было наложено административных штрафов на 24 человека на общую сумму 580 рублей. Среди инспекторов хотелось бы выделить старшего лейтенанта внутренней службы Б Насибашвили, у которого на обслуживаемом участке сократилось количество пожаров и убытков от них.

**А. МАЛАЯНЦ.**



**მიმდინარე** წლის 6 იანვარს „ზერიკონში“ საახალწლო შეხვედრა მოეწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან. შეხვედრის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი იყო შსს ალკკ კომიტეტი. ზეიმზე მოწვეული იყვნენ პარტიის საბურთალოს რაიონის წარმომადგენლები.

იქნებ ბევრმა გულის სიღრმეში გვისაყვედუროს კიდევაც რა გვეზეიმება, ან რა გვიხარიაო, მაგრამ დამეთანხმებით ალბათ, რომ ადამიანს ნებისმიერ დროსა და სიტუაციაში სჭირდება განმუხტვა. მით უფრო დღეს, როცა მთელი შს სამინისტროს თანამშრომლები მობილიზებულია რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენების ირგვლივ. საღამომ სწორედ რომ ხალისი შეიტანა მათში. თითქოს ერთგვარად განვიმუხტეთ ყველანი და 5 საათით გადავინაცვლეთ მშვენიერების სამყაროში, სადაც იყო სიმღერა, სიცილი, სითბო და ხალისი. სხვადასხვა თაობის და ეროვნების ადამიანები ერთად, ერთ ჰერქვეშ ხვდებოდნენ ახალ წელს და ღრმად მჯერა, რომ ყველას ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში. ფეხბედნიერი ყოფილიყოს წლევანდელი წელი, მშვიდობა და სიკეთე მოეტანოს მას ადამიანებისთვის.

ვ. ბურამიშვილის ფოტო.

СПОРТ СПОРТ

# НА ПОРОГЕ НОВОГО СЕЗОНА

**Футболисты тбилисского «Динамо» после непродолжительного отпуска вновь собрались на своей учебно-тренировочной базе в Дигоми и в первые дни Нового года начали подготовку к новому сезону.**

**ПЕРЕД** зимними каникулами футболисты получили индивидуальн ы е домашние задания, выполнение которых позволит быстрее поднять спортивную форму. Как сказал журналистам главный тренер «Динамо» Давид Кипиани, по результатам медицинской проверки состояние подопечных на данном этапе удовлетворительное.

В команду приглашены в качестве консультанта К. Бесков, а тренером Р. Дзодзуашвили.

Пока тбилисцы готовятся на базе, а через несколько дней выедут во Францию, где намечено провести несколько матчей.

В феврале будут готовиться в Тбилиси и Леселидзе. На Черноморском побережье они проведут несколько контрольных матчей с командами высшей лиги. Первого марта предстоит первый официальный матч в новом сезоне с динамовцами Киева на Кубок СССР, а 6 марта в матче открытия чемпионата страны тбилисцы встретятся с харьковским «Металлистом».

И еще приятная новость: с руководителями «Динамо» ведут переговоры руководители сборной Южной Кореи — участники финального турнира чемпионата Мира-90. Они выразили желание провести один из этапов подготовки к этим важным соревнованиям в Тбилиси, где, по их мнению, климатические условия схожи с климатом Италии. Если этот вопрос решится положительно, то в мае месяце любители футбола столицы Грузии станут свидетелями интересного матча. На стадионе «Динамо» сборная Грузии в ранге хозяина поля встретится с футболистами сборной Южной Кореи.

**А. МАЛАЦИДЗЕ.**

## Малыши у новогодней елки

**В КАНУН** Нового 1990 года в клубе Учебного центра МВД ГССР по инициативе женсовета (председатель— старший лейтенант милиции Л. Бестаева) и профсоюзной организации УЦ (председатель—С. Кохташвили) состоялся утренник, на котором дети сотрудников декламировали стихи, пели, исполняли национальные танцы. В фойе клуба экспонировалась выставка рисунков, выполненных юными художниками. После концерта детям были розданы новогодние подарки.

**М. ПЕКЕЛИС,**
**старший преподаватель Учебного центра МВД ГССР майор милиции, член Союза журналистов СССР.**

• • •

**НА СНИМКЕ: выступление юных талантов.**




## ОБЪЯВЛЕНИЕ

**ДОМ культуры им. Ф. Э. Дзержинского объявляет набор для сотрудников МВД ГССР на курсы машинописи и делопроизводства на грузинский сектор.**

**За справками обращаться ул. Бесики, 4, тел. 9-91-44-39.**


გ. თოფურია

# განსხვავებული ცრემლები

მახლობლად ტრაქტორის გუგუნი მოესმა. ოთარმა ტრაქტორისაკენ გაიხედა და თვალი რომ არ მოუშორებია მისთვის ისე ჰკითხა ალექსანდრეს: — სადაა ეგ მუხლუხა ტრაქტორი რომ მოდის?

— მდინარის მოპირდაპირე მხარეს, რომ სახნავები მოჩანს, ალბათ იქ მიდის სამუშაოდ, — უპასუხა ალექსანდრემ და შემდეგ განცვიფრებულმა მიმართა:

— ამხანაგო ოთარ, შეხედე, ტრაქტორი რაღაცას წამოედო მუხლუხებით და რაღაცა ამოატივტივა მდინარის ზედაპირზე!!

ტრაქტორისტმა ძრავა გამორთო და ყვირილი მორთო: — მომეშველეთ ხალხო, ვინ ხართ ახლო — მახლო, მომეხმარეთ! ადამიანის გვამია, ადამიანის!

ოთარმა და ალექსანდრემ ანკესები გადაყარეს და ტრაქტორისაკენ გაიქცნენ, ტანსაცმლიანად შევიდნენ მდინარეში და გვამი ნაპირზე გადმოასვენეს.

— ვაიმე, ვაიმე! — კვლავ ყვიროდა ტრაქტორის მძღოლი და შეშინებული ერთ ადგილზე დახტოდა.

— გაჩუმდით!... ნუ გეშინიათ... მე მილიციის თანამშრომელი ვარ, აი ჩემი საბუთი. მიცვალებულს ხელებზე და ფეხებზე ჯაჭვის ნაგლეჯები აქვს შერჩენილი. ეტყობა დიდი ხანია რაც წყალშია, მთლიანად გახრწნილა. როგორც ჩანს ამ ჯაჭვებით ყოფილა დაბმული ჰორიზონტალურად, რადგან ცხედარი წელში გამართულა.

— ახლავე დავადგენ ამას, — თქვა ალექსანდრემ, მდინარეში შევიდა და იმ ადგილას ჩაყვინთა, სადაც ტრაქტორმა მიცვალებული ამოაგდო. ცოტა ხნის შემდეგ ნაპირზე გამოვიდა.

— მართალი ბრძანდებით, მდინარის ფსკერზე, იმ ადგილას, ორი დიდი რკინის პალოა ჩასობილი. ბევრი ვეცადე რომ მომეგლიჯა, მაგრამ ძვრაც ვერ ვუქენი.

— მომეხმარეთ ჩემს მანქანაში გადავასვენოთ. ახლავე უნდა წავიდეთ ექსპერტიზაზე გავატაროთ.

ცხედარი რომ გადაასვენეს მანქანაში ოთარი ტრაქტორისტს მიუბრუნდა:

— ამხანაგო თქვენი გვარი, სახელი მამის სახელი?!

— მიქავა ბენიამინ ბურდუს ძე.

— რაც აქ ნახეთ ამაზე არავისთან არაფერი წამოგცდეთ, თვით თქვენი ოჯახის წევრებთანაც კი.

**მეორე** დღეს ოთარმა და ალექსანდრემ მანქანის საბარგულში ჩააწყვეს ანკესები, თფთო კოლოფი თევზის მისატყუებელი და მდინარე ნოღელას მიაშურეს. მდინარის მარცხენა სანაპიროსთან ანკესები გადმოიღეს, მისატყუებლები მოარგეს და გამოცდილი მეთევზეებივით დინჯად ელოდნენ თევზების ანკესებზე წამოგებას.

— მგონი მოეკიდა თევზი ჩემს ანკესზე, — თქვა ალექსანდრემ და სწრაფად ამოსწია ანკესი ზევით, მერე ცარიელ ანკესს შეხედა და გულმოსულად გამოსცრა კბილებიდან: — თფუი... ყველაფერში ბედი გინდა კაცს, გამისხლტა... გვარიანი დიდი კი ჩანდა!

— აი, მე კი, მგონი ნამდვილად დავიჭირე! — გახარებულმა წამოიძახა ოთარმა და ანკესი ზევით ამოქაჩა. ტყუილად დაიტრაბახე, ის კი არა და ანკესიც კი გამიწყვიტა, ასეა საჭირო. პარტიული ხართ?

— დიახ ბატონო!...

— მით უკეთესი ჩათვალეთ, რომ ეს თქვენთვის პარტიული დავალებაა. თუ საჭირო იქნებით გამოგიძახებთ.

**ოთარმა** სავარძელი სარკმლისაკენ შეატრიალა და აკაკი წერეთლის ერთტომეული გადაფურცლა, კარებზე კაკუნი მოესმა.

— მობრძანდით. — გაეპასუხა ოთარი ისე, რომ კარებისაკენ არც კი შემოტრიალებულა.

ოთახში ალექსანდრე შემოვიდა და ოთარს მიმართა.

— ყავას ხომ არ ინებებდით?

— სიამოვნებით.

— ახლავე მოგართმევთ. მიუგო ალექსანდრემ და მცირე ხნის შემდეგ ორი ფინჯანი ყავა და საშაქრე შემოიტანა.

— რა გაარკვია ექსპერტიზამ.

—-ის, რომ განსვენებული გურამ ჰუტუს ძე რურუაა. აი დააკვირდით ექსპერტიზის დასკვნას. ოთარმა რამოდენიმე ყლუპი ყავა მოსვა, მაგიდიდან ექსპერტიზის დასკვნა აიღო და წაიკითხა: — მკვლელობის მომენტიდან დაახლოებით გასულია 20-21 დღე. ცხედარი დაახლოებით ამდენივე დროით ყოფილა მოთავსებული გამდინარე წყალში, რასაც მოწმობს თვალთა ფოსოები, რომელიც დაფარულია სილითა და მდინარეული ნარჩენებით. ცხედარი ახალგაზრდა და ძლიერ მამაკაცს ეკუთვნის, რასაც ადასტურებს ჯერ კიდევ საკმაოდ მკვრივი კბილების ფესვთა სისტემის თავმოყრა სანერწყვე ჯირკვლების მახლობლად. სიმაღლე 178 სმ. შეიმჩნევა აშკარა ძალადობის ნიშნები: დაჟეჟილობა და მუცლის ნეკნების გალუნულობა. თავის ქალა მძიმე სხეულის დარტყმით აქვს ჩამტვრეული. საფიქრალია პისტოლეტის კონდახით. ზედა კიდურების მაჯაზე და ქვედა კიდურების კოჭთა არეში ძვალთა ჩაშავებანი, რაც ჯაჭვის მოჭერითაა გამოწვეული. მარჯვენა ქვედა კიდურის ორი ბოლო თითი წაჭრილი აქვს. ცხედარის პატრონს სიცოცხლე ტანჯვაში დაუმთავრებია, რასაც მოწმობს ქვედა ტუჩის ამოგლეჯილობანი, რომელსაც ჩასობილი კბილების კვალი გარკვევით ამჩნევია, როგორც ჩანს სიმწრით მოუკვნეტია.

— როგორც ხედავთ გურამის დაკარგვის დრო და ექსპერტის მიერ ნაჩვენები დრო მიახლოებით ერთმანეთს ემთხვევა. გარდა ამისა, სასწრაფოდ გამოვიძახე ჯუტუ რურუა. როგორც მოსალოდნელი იყო მან თავისი შვილი ვერ ამოიცნო. დიდი დაკვირვების შემდეგ შებლავლა: — ვაიმე ჩემს თავს უბედურს!.. ის არის.. ჩემი შვილია... ჩემი გურამი... — საიდან დაასკვენით — მეთქი?... : ბავშვობაში ჩემი გურამი ტყეში მყავდა წაყვანილი, რომელიც შეშის დამზადებაში მეხმარებოდა. უცებ მისი ყრუ კვნესა შემომესმა. მასთან მივიჭერი და ვნახე, რომ მარჯვენა ფეხის კიდურზე ორი ბოლო თითი გადაეჭრა ხელეჩოთი, მაშინათვე საავადმყოფოში წავიყვანე, სადაც ქირურგებმა ამპუტირება გაუკეთესო. — საეჭვო არაფერი იყო. უბედური მამა რის ვაი-ვაგლახით ოდნავ დავაწყნარე და სახლში გავუშვი ჩემი მანქანით.

●

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

**დაბეჭდილია იხ. „მებრძოლი გუშაგი“ № 47-2 (1990).**

# საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა მოქალაქეთა მიღებას აწარმოებს შემდეგ დღეებში

**მინისტრი შ. ვ. გორგოძე** — ორშაბათი და პარასკევი 16-დან 19-სთ-მდე.

**მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ი. შადური** — ორშაბათი და პარასკევი 16-დან 19-სთ-მდე.

**მინისტრის მოადგილე რ. ლ. გვენცაძე** — ორშაბათი და ხუთშაბათი 16-დან 19-სთ-მდე.

**მინისტრის მოადგილე ზ. ა. ფანტურიშვილი** — ორშაბათი და ხუთშაბათი 16-დან 19-სთ-მდე.

**მინისტრის მოადგილე თ. ვ. სიდამონიძე** — ორშაბათი და სამშაბათი 16-დან 19-სთ-მდე.

**მინისტრის მოადგილე კადრების დარგში ი. ნ. ერმოლაევი** — ორშაბათი და ოთხშაბათი 16-დან 19-სთ-მდე.

შაბათობით მიღება წარმოებს 10-დან 13-სთ-მდე.

**ვ. ი. შადური** — ყოველი თვის I შაბათი.

**რ. ლ. გვენცაძე** — ყოველი თვის II შაბათი.

**თ. ვ. სიდამონიძე** — ყოველი თვის III შაბათი.

**ზ. ა. ფანტურიშვილი** — ყოველი თვის IV შაბათი.

**ი. ნ. ერმოლაევი** — ყოველი თვის IV შაბათი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მისაღები მუშაობს ყოველდღე 10-დან 18-საათამდე (გარდა კვირისა) ტელეფონი: 40-62; 45-00.

**საქართველოს შსს ხამდივნო.**

ВНИМАНИЕ — НОВИНКА

## ГОВОРЯЩИЙ ДОРОЖНЫЙ ЗНАК

**ДОРОЖНЫЕ** знаки отнюдь не гарантируют безопасную езду. Например, изменилась погода, нужно ограничить скорость, а знак на дороге все тот же. Изобретатель Н. Егин предлагает решить эту проблему с помощью специальных знаков, чутко реагирующих на атмосферные капризы. Для этого он предлагает на участке дороги установить датчики температуры и влажности и подключить их к электрифицированному знаку. Если дорога сухая, то независимо от температуры воздуха знак показывает верхний предел разрешенной скорости. Если влажная — указатель показывает меньшую скорость. А если датчики обнаруживают влагу при минусовой температуре и начинается гололед, то он устанавливает безопасный предел скорости.

ინდექსი 66629

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ:
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95--66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე — 00112